

499.962.1

5-971

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნაწერის უფლებით

**სხალაია ვაატა (ვატიკო) ალექსის კა**

**საკუთარი სახელი კოლნურ**  
**(ზანურ) ენაში**

(მერული ტობინიძის, ანრობინიძისა და ზონინიძის  
მასალებს მხედვით)

10.02.03 - ქროფელოური ენები

ფელოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის

სამეცნიერო ხარისხის მოსაბოფებლად

წარმოდგენილი დანერტაცის

**ა ვ ტ ო რ ე შ ე რ ა ტ ი**

თ ბ ი ლ ი ს ი

2002

499.962.1 - 1849 -  
 5-371 ცხადია ქაფა (საფეხი)  
 მოს-ბ  
 მოსხუხ  
 - 1849 -

ფანე ვაგანიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**მხადია პაატა (ვატიკო) ალაქისი კ**

**საკუთარი სახელი კოლხური**

**(ზანური) მნაში**

(მეგრული ტომობის, ანთობინობისა და ზიონობის  
 მასალების მხედვით)

10.02.03 - ქართველური ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის

სამეცნიერო ხარისხის მოსაბოგებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე შ ე რ ა ტ ი**

თ ბ ი ლ ი ს ი  
 2002

-1849-

### ნაშრომის ზოგადი დაცვისათვის


სადისერგაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

ოფიციალური ოპონენტები:

ზურაბ ჭუმბურიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.03)

ნათელა ქუთელია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.03)

თეიმურაზ გვანცელაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.09)



დისერგაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10. 01. № 7 სადისერგაციო საბჭოს სხდომაზე 2002 წლის 5 ივნისს, 1230 საათზე. მისამართი: 380028. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №1, კორპ. I, აუღ. 93.

დისერგაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქუჩა, №2).

ავტორეფერატი დაიცვანა 2002 წლის 9 მაისს.

სადისერგაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*[Handwritten signature]*  
/ბ. წიგანაშვილი/

თემის აქტუალობა. ონიმური ლექსიკა შეიცავს ფასდაუდებელ ინფორმაციას ხალხებისა და ენების წარსულის შესასწავლად. ქართველ ენათმეცნიერებსა და ისტორიკოსებს აქტიურად აქვთ გამოყენებული ისტორიული გეოგრაფიის მასალები ქართველი ხალხის ისტორიისა და ქართველური ენების განვითარების ზოგი მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად. მაგრამ საქართველოს რეგიონების, განსაკუთრებით, სვანეთისა და სამეგრელო-სამურზაყანოს, ტოპონიმია, ანთროპონიმია, ზოონიმია, კოსმონიმია ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს, რომელთა ამოცნობითა და კვლევისას გათვალისწინებით დიდად მოიგებდა ქართული ენათმეცნიერება და ისტორიოგრაფია.

კოლხური (ზანური) საკუთარი სახელი ჯერ არ გამოხდარა მონოგრაფიული კვლევის ობიექტი. მართალია, შესწავლილია მთიანი სამეგრელოს ტოპონიმის ძირითადი სიტყვაწარმოებითი მოდელები, გამოვლენილია ზანურის აპელატიური და ონიმური სუბსტრატი იმერულ, გურულ, აჭარულ დიალექტებში, ყურადღება გამახვილდა კოლხურ გვარსახელთა წარმოების ზოგ საკითხზე, მაგრამ მაინც მეგრული-ლახური საკუთარი სახელის ისტორია, სტრუქტურა, სემანტიკა და ლექსიკა ვრცლად და ფართოდ არავის უკვლევია. დღემდე ხელშეუწყებელი რჩებოდა სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, და ეს მაშინ, როცა აფხაზი მკვლევრები სწორედ ტოპონიმური მასალის გაყალბებით ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ კოლხთა ამ ძირძველი მიწის აბორიგენები იყვნენ არა ქართველები, არამედ აფხაზები. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს მომრავლებული დაბალი მეცნიერული ღირებულების მქონე ტოპონიმური და ანთროპონიმური ლიტერატურა და მათში მოცემული ეტიმოლოგიური „ძიებანი“ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს არა მარტო ამ დარგის სპეციალისტებს, არამედ რიგით მკითხველსაც კი. არაა დადგენილი კოლხურ გვარსახელთა სისტემა; ყურადღების გარეშეა დარჩენილი მეგრული ზოონიმია. ყოველივე ეს განაპირობებს ამ ნაშრომში დასმული საკითხების მეცნიერული კვლევის აქტუალობას.